

თიბისი ბანკმა 100 მილიონი აშშ დოლარი მოიზიდა

პრესკონფერენცია თიბისი ბანკის ახალ ფილიალში გაიმართება

პრესრელიზი

27 მარტს, 14:00 საათზე, საბურთალოზე (მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №11) საზეიმოდ გაიხსნება თიბისი ბანკის ახალი სტანდარტების მიხედვით შექმნილი კიდევ ერთი ფილიალი. ახალ ფილიალში ასევე გაიმართება პრეს-კონფერენცია თიბისი ბანკის მიერ 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსის მოზიდვასთან დაკავშირებით.

აღნიშნული რესურსის მოზიდვა განხორციელდა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტის „მერილ ლინჩი“ დახმარებით, რომელიც მოქმედებდა როგორც ტრანზაქციის ორგანიზატორი ბანკი, ხოლო ფინანსების მობილიზება მოხდა დასავლეთის კაპიტალის ბაზრებიდან კერძო განთავსების საფუძველზე.

მოზიდული ფინანსური რესურსი და საკმაოდ მაღალი შედეგის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა და ბანკს საშუალებას მისცემს, გაზარდოს თავისი აქტივობა მცირე და საშუალო ბიზნესის, ასევე ფიზიკური პირების სეგმენტებზე. სესხის მიზნობრიობა შეზრდული არ არის და მოხმარდება უფრო დიდი მოცულობის საკრედიტო პროექტების დაფინანსებას. ბანკის ინფრასტრუქტურაში 100 მილიონი დოლარის ინვესტიცირება ხელს შეუწყობს საბანკო მომსახურებაზე მზრდადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

მერილ ლინჩი მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტია და წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს საერთაშორისო საფინანსო მომსახურებაში. მერილ ლინჩსა და თიბისი ბანკს შორის დადებული ხელშეკრულება თიბისი ბანკის სტაბილურობასა და მსოფლიოს წამყვან საფინანსო ინსტიტუტებთან აქტიური თანამშრომლობის პოლიტიკის წარმატებულ განვითარებაზე მიუთითებს.